პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
12 იანვარი
№ 9 (17654)
ფასი 2 კაპ.

ლენინურ შრომითს ვასტაფეტზე

იანვრის იმედიანი დღეები

- ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსოვანებზე ბაღ-ვენახებში საფუძველი ეყრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვ მოსავალს
- გასული წლის პირველ დეკადასთან შედარებით მაღალია შრომის ტემპი

ჩვენი საკავშირო-სამეურნეო მიმოხილვა

[illegible] — [illegible] დაიმკვიდრა თავისი უფლებები 1980 წელიც. [illegible] ... ბაღებში და დიდი [illegible] ... ბაღ-ვენახეებში საფუძველი ეყრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვ მოსავალს. [illegible] ... ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელიწადს. მან უნდა აგვინაზღაუროს, თუ რამ ვერ შევძელით წინა წლებში და ხუთწლედიც ღირსეულად დაგვამთავრებინოს.

კარგად დაიწყეს ახალი სამეურნეო წელიწადი გარდაბნის რაიონის მშრომელებმა. მათ იანვრის პირველივე ათ დღეში სახელმწიფოს მიჰყიდეს 61 ტონა ხორცი — შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 ტონით მეტი, 234 ტონა რძე — 4 ტონით მეტი, 2 მილიონ 453 ათასი ცალი კვერცხი — ნახევარი მილიონით მეტი; ბოსტნეული დამზადდა 22 ტონა, მაშინ, როცა შარშან შესაბამის პერიოდში არც ერთი ტონა არ დამზადებულა.

მინდვრად და ბაღ-ვენახებში ათ დღეში შეტანილია 95 ათასი ტონა სასუქი, შარშანდელ პერიოდთან შედარებით 9.429 ტონით მეტი.

მეზობლებს არც მარნეულის რაიონის მებოსტნეები ჩამორჩნენ. აქაური მშრომელები დიდ ყურადღებას აქცევენ სასათბურე მეურნეობას და ახალი ვენახების გაშენებას. იანვრის პირველ დეკადაში მათ ბევრად მეტი გააკეთეს, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში.

ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელიწადი კარგად დაიწყეს წყალტუბოს ზონის მებოსტნეებმაც.

იანვრის პირველ დეკადაში შარშანდელ პერიოდთან შედარებით მეტი რძე და ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს თიანელმა და დუშელმა მეცხოველეებმა.

წითელწყაროელმა მეცხოველეებმა თავისებური „რეკორდი" დაამყარეს. ამ რაიონის კოლმეურნეობებში ათ დღეში 293 ტონა რძე მიიღეს, რაც შარშანდელ პერიოდთან შედარებით 58 ტონით მეტია. ამაზე ჩაბარეს 95 ტონა ხორცი, შარშანდელ პერიოდთან შედარებით 11 ტონით მეტი და 126 ათასი ცალი კვერცხი.

21.634 ჰექტარ საშემოდგომო მარცვლეულის ნათესებსა და 2.938 ჰექტარ ვენახში შეიტანეს წითელწყაროელებმა სასუქი და ეს დიდი სამუშაოები ათ დღეში შეასრულეს. ამავე პერიოდში მათ 1.690 ჰექტარზე გასხლეს ვაზი, 417 ჰექტარი ვენახი გადაიყვანეს შპალერზე, ხოლო სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად გადააწვინეს 20.500 ძირი ვაზი და დარგეს 33.300 ძირი ნამყენი.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ბევრად უკეთესად იმუშავეს აგრეთვე გურჯაანელმა, ყვარელმა, საგარეჯოელმა და სიღნაღელმა მევენახეებმა.

როგორც ჩანს, რესპუბლიკის მეჩაიეები წლეულსაც იტყვიან თავიანთ სათქმელს. მათ უკვე 5.438 ჰექტარზე შეიტანეს ფოსფოროვანი, ხოლო 3.681 ჰექტარზე — კალიუმიანი სასუქი. 9.045 ჰექტარზე გააფხვიერეს მიწა და დაამუშავეს პლანტაციები. ამ საქმეში თავი ისახელეს მახარაძელმა, ზუგდიდელმა, ლანჩხუთელმა, წყალტუბოელმა და გალელმა მეჩაიეებმა.

სამწუხაროდ, ასე გულმოდგინედ ვერ იმუშავეს ჭიათურის ზონისა და თერჯოლის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეებმა.

1980 წლის პირველი დეკეები ნაყოფიერი გამოდგა. საჭიროა ამ ტემპის შენარჩუნება და უფრო გაძლიერება, რომ სახელოვნად დავამთავროთ ხუთწლედი და ღირსეულად აღვნიშნოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი.

ჯ. ჟურხული,
„კომუნისტის" კორ.

სკოლა ყველას საგრუნავია

ვეუნის, ხალხის, ყოველი გონიერი მოზრდილი ადამიანის უპირველესი საზრუნავია ბავშვი — ჩვენი მომავალი, იმედი და საქმეთა ჩვენთა გამგრძელებელი. ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ ბავშვებისათვის. ამ დევიზით, ბავშვებზე ზრუნვით ჩაიარა ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებულმა 1979 წელმა. საერთაშორისო წელი კი დამთავრდა, მაგრამ ზრუნვა გრძელდება და არც არასოდეს დამთავრდება. ყოველი წელი ბავშვისა იქნება. ზრუნვაში, ცხოვრებაში, ჩაცმა-დახურვაში, გამოკვებაში, მოვლა, სხვა მატერიალური მხარე ფულისმსმელი, მაგრამ მისი უმთავრესი კომპონენტია ზრუნვის სულიერი მხარე — სწავლა, აღზრდა. ეს კი, უპირველეს ყოველისა, სკოლას აკისრია, რა თქმა უნდა, ოჯახთან და მთელ საზოგადოებრივობასთან ერთად.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები დამთავრდა. დაიწყო მესამე სეოსთხედის დაწყების მაცნე ზარი, სკოლა ახალი ენერგიით შეუდგა ცოდნისათვის ლაშქრობას, ღირსშესანიშნავი თარიღის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებას. სახელოვანი იუბილესათვის მზადებამ კი უნდა უზრუნველყოს სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების, პედაგოგიური კოლექტივების მთელი საქმიანობის აღმავლობა მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, პოლიტიკური სიფხიზლისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდისათვის.

ზამთრის არდადეგები იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ სწორედ ზემოაღნიშნულ პრობლემებზე დიდი სჯა-ბაასი ჰქონდათ სახელმწიფო ნახევარწლეულის შემაჯამებელი მასწავლებელთა იანვრის კონფერენციების მონაწილეებს. ისინი მიმდინარეობდა სკკპ XXV ყრილობის წინასწარგასაუწყლობათა, სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდეგობა გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, სკკავშირო და საქართველოს მასწავლებელთა ყრილობების მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ რესპუბლიკაში გასულ სასწავლო წელთან შედარებით მაღლდება 1979-1980 სასწავლო წლის აკადემიური წარმატების მაჩვენებელი. დედაქალაქის სკოლებში მცირდება სწავლას ჩამოცილებულთა და ოროსანთა რაოდენობა, იკლო მეორეწლიანთა რიცხვმაც.

ბოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის გაწეული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებით შეეგება გორის რაიონის მასწავლებლობა თავის იანვრის კონფერენციას. ბავშვზე ზრუნვის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები მოსწავლეთათვის იძენენ სახელმძღვანელოებს, მოსამზადებელი და პირველი კლასების მოსწავლეთათვის — ფორმის ტანსაცმელსა და სასწავლო ნივთებს, ძველების საბჭოთა მეურნეობა უფასოდ კვებავს მოსწავლეებს, რასაც მიბმაძეს ქიზნისის, კარალეთის, ბავშვებისა და სხვა მეურნეობებმა. ურაყვნა ლენინური პრინციპი: ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს! უფასოდ — სახელმძღვანელოები, უფასოდ — განათლება. ამ და მრავალი სხვა სახის ზრუნვას მოსწავლეებიც ბევრითი სწავლით უპასუხებენ — დღეს სკოლების 14.155 მოსწავლიდან 13.256 კარგად სწავლობს.

სწავლა-აღზრდის პროცესში დიდია გაკვეთილის როლი, როცა მას შემოქმედი მასწავლებელი წარმართავს. სწორედ მას, მასწავლებელს ანდობს ქვეყანა თავის მომავალს, პასუხსაგებია იმის მასა, ვინც მოსწავლეს ზრდის სასკოლო კლასსა თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სახელოსნოში, ვისაც ნორჩებისათვის ცოდნის გზა ეკიაგს. აი, რატომ მართებს მას სრულყოფდეს სწავლების მეთოდებს, პედაგოგიურ ოსტატობას.

რესპუბლიკაში ათასობით მასწავლებელი ჩინებულად უძღვება ნორჩთა სწავლა-აღზრდის დიდ საქმეს. ხალხმა შეიყვარა საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი საუკეთესოთა შორის საუკეთესო მასწავლებლები და იმ სიმაღლეზე დაიყენა, წარსულში არასოდეს ყოფილა რომ არ ხსომებია, მასწავლებლობისათვის — სოციალისტური შრომის გმირობა! — ეს საპატიო წოდება ხვდა ქვეყნის პედაგოგთა თითზე ჩამოსათვლელ რაოდენობას და მათ შორის არის ჩვენი თანამემამულე — ქართლის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნადია სამნიაშვილი, მშრომელებმა სულ ახლახან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რომ დაასახელეს; სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის წოდება ერთეულებს მიენიჭათ და მათ შორის არის ჩვენი თანამემამულე — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი გრიგოლ კობაძეც, ამას წინათ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რომ დაასახელეს; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მაღალი მოვალეობა აკისრია აგრეთვე ჩვენს თანამემამულეს — თბილისის კ. უშინსკის სახელობის 168-ე ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელს ი. მანჯგალაძეს.

ვინ მოთვლის დამსახურებულს, ორდენ-მედლებით მკერდდამშვენებულ ჩვენს მასწავლებლებს! — ეს ხომ მასწავლებლებზე, ბავშვებზე, სახალხო განათლებაზე ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ყურადღებაა. ეს ხომ ყველა პატიოსანმა, ყველა შემოქმედმა მასწავლებელმა, — მთელმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ საკუთარ ჯილდოდ და დაფასებად უნდა მიიჩნიოს და ყოველნაირად შეეცადოს ათმაგად უზღოს სამშობლოს ესოდენ დიდი ზრუნვა და ამაგი, მათ ხომ ამბარიათ უსიტყვო სული ნორჩი თაობისა.

მხოლოდ კეთილსინდისიერება, მხოლოდ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა დაესაბუდებული მოვალეობისათვის, სამშობლოსა და ხალხის წინაშე! — აი, რა უნდა ახასიათებდეს მასწავლებლის ყოველ საქმეს. და ამ დროს ჯერ კიდევ ეჯდებიან მოსწავლეთათვის ნიშნების უმართებულოდ დაწერის, ამოფხეკისა და გადასწორების ფაქტებს, რომელთა საგრძნობი წილი, სამწუხაროდ, თავიანთი შეცდომებისათვის მასწავლებელ-მშობელთა დაჟინებული თხოვნა-მოთხოვნით ხდება! საკადრისი არ არის ასეთი საქციელი. არც ის არის საკადრისი, რომ ზოგიერთი მშობელი მეტისმეტად გაშინაურებულია სკოლაში, ათქვეფილია პედკოლექტივში, ვერ გაარჩევენ სკოლის მუშაკისაგან, ასეთი ვითარება დასაგმობია! სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი თბილისის მასწავლებელთა იანვრის საქალაქო კონფერენციაზეც.

სკოლასთან ერთად სასწავლო წლის საპატიო ჭაპანს ეზიდება ყველა მისი მეგობარი — ყველა საწარმო, ყველა შეფი ორგანიზაცია, რომლებიც არაფერს არ იშურებენ ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდისათვის; მათი კომშოლტები ნამდვილად შემოქმედებითად უნდა უდგებოდნენ შეფობას მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, მათი შრომითი და ზნეობრივი აღზრდისადმი. საკმაო გამოცდილება გვაქვს ამ მხრივ, მას შემდგომი განვითარება სჭირდება. დედაქალაქის სკოლების საკრებულოსთან მარტო მიმდინარე სასწავლო წელს შეფმა საწარმო-დაწესებულებებმა 1.789.600 მანეთის ხარჯები გასწიეს. ქალაქის 20 საწარმოში შექმნილია მოსწავლეთათვის საამქროები. პირველი მაისის, 26 კომისრის, საქარხნო და კალინინის რაიონებში მოქმედებს სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები, სადაც შრომითს პრაქტიკას გადის ქალაქის 38 საშუალო სკოლის 4.818 მოსწავლე. დიდ როლს ასრულებენ მოსწავლეთა საწარმოო აღზრდაში თერჯოლის, ზუგდიდისა და ბევრი სხვა სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მუშათა კადრების მომზადების ახალ ამოცანებზე დიდ სჯა-ბაასს მართავს ამ დღეებში საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკური პედაგოგიური კონფერენცია. სახალხო მეურნეობის ახლანდელი მასშტაბი ხომ მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებულ თანაფარდობას კვალიფიციური მუშების, ტექნიკოსების, ინჟინრების გამოშვებაში.

სკოლა, ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა ჩვენი უდიდესი საზრუნავია და მას არასოდეს არ უნდა მოაკლდეს კომუნისტების, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება და ხელმძღვანელობა.

სასწავლო წელი ახალ ფაზაში გადავიდა. ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სკოლას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგად დინამიკურად ვითარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, თანამიმდევრულად მაღლდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, თვისებრივი ცვლილებები ხდება წარმოებაში, ხელშემწყობი პირობები იქმნება თითოეული ადამიანის უნარის გამომჟღავნებისათვის, ინიციატივისა და შემოქმედების გამოვლენისათვის, პროფესიული ზრდისათვის.

თანამედროვე პირობებში, როცა მატულობს წარმოების მასშტაბი, რთულდება სამეურნეო ურთიერთობა და ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო დროის სულ ცოტა საათს, ყოველ წუთს, შინაგანაწესის განუხრელ დაცვას, წარმოების ყოველ უბანზე სტაბილური კადრების შექმნას. მაგრამ პრაქტიკულად სამეურნეო მართვის ზოგიერთი ორგანო, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ცალკეული პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები არ ითვალისწინებენ ამ მოთხოვნებს და ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, წარმოებაში მაღალი ორგანიზებულობის, მუშაობის რიტმულობის უზრუნველყოფას.

შრომის დიდი დანაკარგები, საწარმოთა ნორმალური მუშაობის დარღვევა იმის შედეგია, რომ ადგილობრივ ორგანოებს დაუსაბუთებლად გადმოაყავთ საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები სხვადასხვა სამუშაოზე, რომლებიც არ უკავშირდება ამ საწარმო-დაწესებულებათა წარმოებრივ საქმიანობას. ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამუშაო დროს მართავს კრებებს, თათბირებს, სემინარებს, შეკრებებს, სპორტულ ასპარეზობებს, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებსა და სხვა ღონისძიებებს.

პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი მიმართავენ ეფექტიან ღონისძიებებს, რათა აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა წარმოებაში დისციპლინის განმტკიცებისა და წესრიგის უზრუნველყოფისათვის. არის კაერთიანებები და საწარმოები, სადაც შეიჩვევენ შრომითი შინაგანაწესის დარღვევებს, პრინციპულ პარტიულ შეფასებას არ აძლევენ სამუშაოს გაცდენას, სამუშაო დროის დანაკარგების ფაქტებს. შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის გამო, რომ უარისყოფენ მუშაობის შედეგები. მცირდება შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამეურნეო ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რათა განამტკიცონ შრომის დისციპლინა, აამოფხეჩრან წარმოებაში სამუშაო დროის დანაკარგები, რაკიონალურად გამოიყენონ შრომითი რესურსები, ჩამოაყალიბონ სტაბილური შრომითი კოლექტივები. ეს მუშაობა მიჩნეულ უნდა იქნეს პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან კომპლექსურად უდგებოდნენ გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის ეფექტიანად გამოყენების საკითხთა გადაწყვეტას, ღონად შეისწავლონ საქმის ვითარება ადგილებზე, შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, არ დაუშვან მუშათა და მოსამსახურეთა დაუსაბუთებელი დასაქმება სხვადასხვაგარ სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, დასამზადებელ და სხვა სამუშაოებზე. ეფექტურად განაზოგადონ და გაავრცელონ ამ კოლექტივების გამოცდილება, რომლებიც ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, მშრომელთა მორალური და მატერიალური სტიმულირების გაძლიერების შედეგად აღწევენ სამუშაო დროის უკეთ გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების დენადობის შემცირებას.

შრომითი კოლექტივების საქმიანობის შეფასების, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების, კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მინიჭებისა და დადასტურების დროს შრომის დისციპლინის მაჩვენებლები გათვალისწინებული უნდა იყოს მუშაობის ძირითად მაჩვენებლებთან ერთად.

ამის გათვალისწინებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიურ ფორმებზე თანამიმდევრულად გადასვლისათვის, სისტემატურად გაუწიონ საჭირო დახმარება ბრიგადებს კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის მუშაობის გაუმჯობესებაში, აამაღლონ საწარმოო ბრიგადების საბჭოებისა და ბრიგადირების საბჭოების როლი; გააუმჯობესონ შრომის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა და ენერგომეურნეობა, სრულყონ მისი ანაზღაურებისა და ნორმირების ორგანიზაცია; უფრო ფართოდ მიიზიდონ ამ საკითხების გადასაწყვეტად შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თითოეული მუშაკის უფლებებისა და მოვალეობების ზუსტი რეგლამენტაცია, მიაღწიონ იმას, რომ ისინი განუხრელად დაიხარისხიანად ასრულებდნენ საწარმოო ფუნქციებსა და თანამდებობრივ მოვალეობებს. გაძლიერონ სამუშაოების, უბნებისა და ცვლების უფროსთა, ოსტატთა და ბრიგადიერთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის განმტკიცების, შინაგანაწესისა და შრომითი კანონმდებლობის დაცვის საქმეში. ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა საქმიანობის შეფასებასას გაითვალისწინონ, რომ შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და განმტკიცებისათვის ისინი ისევე აგებენ პასუხს, როგორც საგრძნობ დაკალებათა შესრულებისათვის. აამაღლონ შრომითი კოლექტივების როლი დისციპლინის განმტკიცების, შინაგანაწესის განუხრელად დაცვის საქმეში, გააძლიერონ მათი გავლენა თითოეულ მუშაზე. განახორციელონ საზოგადოებრივი, მატერიალური და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებანი შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ მუშათა კოლექტივების, საწარმოო ბრიგადების საბჭოებისა და ბრიგადირების საბჭოების გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით. გააუმჯობესონ ამხანაგური სასამართლოებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოების მუშაობა. აქტიურად მიიზიდონ ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სამუშაოდ კადრის მუშები, შრომის ვეტერანები.

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მართვები მეტი ყურადღებით მოეკიდონ შეგნებული დისციპლინის ჩანერგვას, სტაბილური შრომითი კოლექტივების ჩამოყალიბებას, რეგულარულად განიხილონ ეს საკითხები კრებებზე. გადაჭრით აამოფხეჩრან შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ შემრიგებლური, ლიბერალური დამოკიდებულება, ამ მიზნით გამოიყენონ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოქმედების ყველა ღონისძიება. გააძლიერონ ინდივიდუალური მუშაობა კოლექტივში ახლად მიღებულ იმ მუშაკებთან, რომლებიც ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს (ნორმირებულ დავალებებს). პარტიული სწავლების, ეკონომიკური განათლების, კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელსა და მასობრივი პროპაგანდისა და აგიტაციის სხვა ფორმებში ღრმად გააშუქონ სოციალისტური შრომის დისციპლინის მნიშვნელობა, ჩაუნერგონ კოლექტივის წევრებს თავიანთი პროფესიისათვის, საწარმოსათვის სიამაყის გრძნობა, ინაორგანიზებულობის, უფლებიანობის, უყაირათობის ყოველი გამოვლენისადმი შეურიგებლობა. აამაღლონ მოწინავეთა, შრომის გმირთა და ვეტერანთა მიღწევებისა და მათი მუშაობის გამოცდილების პროპაგანდის დონე.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ მეტი კონტროლი გაუწიონ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულთა ინიციატივით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები აუშენონ მუშაკებს დადგენილი წესით საბანკო კრედიტის გამოყენებით. რეკომენდებულია ასეთი სახლების მშენებლობაში უშუალო შრომითი მონაწილეობა მიაღებინონ მუშებსა და მოსამსახურეებს.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით და შრომითი კოლექტივების რეკომენდაციათა გათვალისწინებით უსასყიდლო მატერიალური დახმარების გასაწევად და კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაზე საბანკო კრედიტის ნაწილობრივ დასაფარავად წასახალისებელი ფონდების სახსრები გამოყონ იმ მუშაკებისათვის, რომლებმაც გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სულ ცოტა ხუთი წელიწადს იმუშავეს, ხოლო ახლად დაქორწინებულთათვის — სულ ცოტა ორ წელიწადს. არასაპატიო მიზეზის გამო საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკთა დათხოვნის დროს უსასყიდლო დახმარების გაწევისა თუ საბანკო კრედიტის დაფარვისათვის გამოყოფილი წასახალისებელი ფონდების სახსრები ხუთ წლამდე ვადაში უნდა დაუბრუნდეთ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ მოაწესრიგონ მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშობის რეჟიმი, დაუწესონ მათ მშრომელთათვის ყველაზე მოსახერხებელი მუშაობის დრო, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით გრაფიკები, რომლებითაც გათვალისწინებულია სამუშაო დღის დაყოფა.

დადგენილებათ გათვალისწინებულია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სარგებლობენ 15 სამუშაო დღის ხანგრძლივობის ყოველწლიური შვებულებით და დასაქმებულნი არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითად და დამხმარე წარმოებებში, კეთილგაჯერ-სადაზვერვო ორგანიზაციებსა და ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანიზაციებში, დაწესდეს დამატებითი შვებულება მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის იმ კატეგორიათა მუშაკებისათვის, რომლებსაც ასეთი შვებულება არ ეძლევათ. შემდეგი ხანგრძლივობისა: მუშაობის პირველი სამი წლისათვის — ერთი დღე, ყოველი მომდევნო ორი წლისათვის — თითო დღე, მაგრამ არა უმეტეს სამი დღისა. ღონშნული შვებულების მიცემისათვის საჭირო სტაჟი გამოთანგარიშდება 1980 წლის 1 იანვრიდან დაწყებული. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც სამუშაო გაავიდნეს არასაპატიო მიზეზით (მათ შორის სამუშაოზე გამოუცხადებლენ მთვრალი), დამატებითი შვებულება მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის შესაბამის წელს შეიძლება არ მეცეცეთ მთლიანად ან ნაწილობრივ.

დადგენილია, რომ უხელფასო შვებულება მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ მხოლოდ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელის, ანდა საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის ნებართვით და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით (განკარგულებით).

გადაწყდა, მეთერთმეტე ხუთწლედში 10-დან 20 პროცენტამდე გაუდიდდეთ მოხუცებულობის გამო პენსიის დანამატის ოდენობა მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც ამ სტაჟის სულ ცოტა 25 წელი, ხოლო ქალებს, რომელებსაც ბავშვები ჰყავთ — სულ ცოტა 20 წელი მოუდიათ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობაზე, თუ მათ ამავე დროს აქვთ მუშაობის საერთო სტაჟისათვის პენსიის დანამატის მიღების უფლება. აღნიშნულ პირობებში დანამატი პენსიის 10 პროცენტამდე ფარგლებში გამოიანგარიშება პენსიის გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობის გადაჭარბებით.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული დაწესდეს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ გააუქმონ გაწესებულ ზეგანაკვეთური მრომის ხელშეკრულება, ამავე დროს ამის შესახებ ადმინისტრაცია გააფრთხილონ წერილობით ერთი თვით ადრე. კალენდარული წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზების გამო საკუთარი სურვილით სამუშაოდან განმეორებით დათხოვნის დროს უფლება მრომითი სტაჟი არ უნარჩუნდებათ. ამ საკითხებზე მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულებანი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიეცათ წინადადება მიიღონ კონკრეტული ზომები იმ პირებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოს დაასახელო აქვთ ამოცანა, სრულყონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კადრების განყოფილების (ბიუროების) მუშაობა.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტსა და საკავშირო პროფსაბჭოს, დაევალათ სამინისტროებისა და უწყებების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საკავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით სისტემატურად შეისწავლონ და გააანალიზონ იმ სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებათა ეფექტიანობა, რომლებიც ხორციელდება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამუშაო დროის უფრო სრულად გამოყენებისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის.

შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, აგრეთვე ყურნალ-გაზეთების რედაქციებს, გამომცემლობებს, შემოქმედებითს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მართებთ მკაფიოდ და დამაჯერებლად წარმოაჩინონ შრომის დისციპლინის ეკონომიკური, ზნეობრივი და სოციალური მნიშვნელობა, ფართოდ გაავრცელონ იმ შრომითი კოლექტივების გამოცდილება, რომელთა საქმიანობას ახასიათებს მაღალი შეგნებული დისციპლინა. დანერგონ შეურიგებელი დამოკიდებულება არაორგანიზებულობისა და უდისციპლინობის ყოველი გამოვლენისადმი. მეტი ყურადღება დაუთმონ ხელოვნებისა და ლიტერატურის ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებების, ინოფილმების შექმნას, რომლებიც მკაფიოდ დაგვიხატავენ შრომის გმირებსა და ვეტერანებს, შრომითს დინასტიებს, სოციალისტური წარმოების მოწინავეებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ორგანოები აქტიური და თანამიმდევრული ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით უზრუნველყოფენ შრომის დისციპლინის

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ

თავი I. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო,როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, მონაწილეობს რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეიქმნა მათ გამო წინადადებანი.

მუხლი 2. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს ორწლიანხანგრძლივ ვადით ირჩევენ ამ საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

სადაბო, სასოფლო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 3. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო თავის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ამტკიცებს დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს და მათი შესრულების ანგარიშებს.

სადაბო, სასოფლო საბჭო ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; უზრუნველყოფს კანონების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას; ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სადაბო, სასოფლო საბჭო განიხილავს **ამომრჩეველთა** კრებების **მიერ მოწონებულ** განაწესებს, ამტკიცებს განაწესების შესრულების ონონისძიებათა გეგმას, ითვალისწინებს **მათ** დაბის, სასოფლო **საბჭოს** ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უწევს **ამომრჩეველთა** განაწესების **შესრულებას,** აკონტროლებს **მათ** რეალიზაციას, ინფორმაციას აწვდის **მოქალაქეებს** განაწესების **შესრულების მიმდინარეობის** შესახებ.

ამომრჩეველთა განაწესების შეტანის, განხილვის, აღრიცხვისა და **შესრულების** წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე, კონტროლს უწევს ამ ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობას, ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვას, კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რეზერვების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

სადაბო, სასოფლო საბჭო ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე ისმენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 5. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თანასწორი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი კომიტეტის, საბჭოს მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართოდ მიზიდვა მათ მუშაობაში. სადაბო, სასოფლო საბჭოს შეუძლია მოისმინოს დეპუტატთა ინფორმაციები მათ მიერ დეპუტატის მოვალეობათა, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებათა და დავალებათა შესრულების შესახებ.

სადაბო, სასოფლო საბჭო და მის მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურ ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას თავისი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

სადაბო, სასოფლო საბჭო მუშაობს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებთა, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა შრომითს კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, ხელს უწყობს ადგილობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას, ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს, ამხანაგური სასამართლოებს, საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებს.

მუხლი 6. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, ამ კანონით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით და სხვა აქტებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ზემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში სადაბო, სასოფლო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე შესაბამისად აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით, აჭარის ასსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონებით სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით.

მუხლი 7. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მისთვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო ადგილობრივ ნებაყოფლობითი საზოგადოებებს მუშაობას, ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებს, საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებს.

მუხლი 8. მუშათა, საკუთრო-ტო, საგარეაკო დაბებისა და სასოფლო საბჭოების შექმნა, გაერთიანება, გაუქმება, სახელის დარქმევა ან დადარქმევა, მათი ტერიტორიის საზღვრის დადგენა და შეცვლა, სასოფლო საბჭოების (ცენტრების) გადატანა, აგრეთვე დაბებისა და სასოფლო-საბჭოების ერთი რაიონიდან მეორისათვის გადაცემა ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტერიტორიის ეკონომიკური მთლიანობიდან, მოსახლეობის რაოდენობიდან და მისი მომსახურების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აზრის გათვალისწინებით.

მუხლი 9. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების შესაბამისად შენობაზე, სადაც მიმდინარეობს სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს სესია, საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღმართული უნდა იყოს მთელი სესიის მანძილზე, ხოლო სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე — მუდმივად. აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში ამ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დროშებიც აღმართვა ხდება იმ წესით, რომელიც შესაბამისად დადგენილია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო დროშის და აჭარის ასსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის აღმართვა სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე ხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებით.

მუხლი 10. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი.

თავი II. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს უფლებები და მოვალეობები

მუხლი 11. დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1) ამტკიცებს დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებს, ორგანიზაციას და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

2) ამტკიცებს დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულების ანგარიშებს;

3) დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავების დროს ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებებს;

4) ამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებელ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე და პერსპექტიულ საწარმო-საფინანსო გეგმებს;

5) მონაწილეობს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებს და საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ორგანიზაციების გეგმების პროექტთა იმ ნაწილის განხილვაში, რომელიც ეხება მიწათსარგებლობას, ბუნების დაცვას, მშენებლობას, საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, შრომითი რესურსების გამოყენებას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურებას, თავისი წინადადებები შეაქვს ამ საკითხების გამო;

6) ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან იღებს საგეგმო მაჩვენებელთა შესახებ მონაცემებს საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოების, ორგანიზაციებისათვის და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

7) აკონტროლებს აღრიცხვისა და ანგარიშგების ზემდგომარეობას მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; დადგენილი ფორმების მიხედვით. აწარმოებს საკომლო დავთრებს, მოსახლეობის აღრიცხვას და ანგარიშგებას წარედგენს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს;

8) საჭიროების შემთხვევაში საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისგან მოითხოვს და ღებულობს დადგენილ სტატისტიკურ და სხვა მონაცემებს მათი მუშაობის შესახებ.

მუხლი 12. საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1) ამტკიცებს დაბის, სოფლის ბიუჯეტს და ორგანიზაციას უწევს მის შესრულებას; დაბის, სოფლის ბიუჯეტის შედგენის დროს ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს; ამტკიცებს ბიუჯეტის საკასო საბრუნავ სახსრებს და მოსავლისა და გასავლის კვარტალობრივ განაწილებას; ანაწილებს ბიუჯეტის სახსრებს გასავლის მუხლების მიხედვით; საჭიროებისშემთხვევაში ბიუჯეტის სახსრები გადაანაწილოს კარიდან კარში, აგრეთვე მუხლიდან მუხლში ხელფასის ასიგნებათა გარდა; ამტკიცებს დაბის, სოფლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

2) ამტკიცებს იმ დაწესებულებათა ნარჩთაღრიცხვას, რომლებიც დაბის, სოფლის ბიუჯეტზე იმყოფებიან, უზრუნველყოფს მათს დროულად დაფინანსებას, გამოყოფილი თანხების სწორად გამოყენებას და ამ დაწესებულებათა მუშაკებისათვის დადგენილ დადებში ხელფასის გაცემას; განსაზღვრავს ბიუჯეტში გადასახდელის და აგრეთვე ბიუჯეტიდან საქმეუწყობო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაფინანსების ოდენობას; წყვეტს საკითხს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებსა ან სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროებში მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ;

3) უზრუნველყოფს, რომ მოსახლეობიდან შემოვიდეს საგადასახადო, სადაზღვევო და სხვა გადასახდელები, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ეწევა მუშაობას ამ გადასახდელთა მისაღებად და უზრუნველყოფს მათ დროულად ჩაბარებას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, ხელს უწყობს დაბის, სოფლის ტერიტორიაზე სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალარების მუშაობას აღნიშნული გადასახდელების მოსახლეობისაგან მისაღებად;

4) კონტროლს უწევს, რომ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დროულად შეიტანონ გადასახდელები დაბის, სოფლის ბიუჯეტში, აგრეთვე კოლმეურნეობათა ანარიცხები კოლმეურნეობათა სოციალური უზრუნველყოფის (ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში და კოლმეურნეობათა სოციალური დაზღვევის (ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, ისმენს კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებს ამ საკითხებზე;

5) შეიტანთ ანაბეჭს ადგილობრივ გადასახდელებსა და გამოსაღებებზე, ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, და აგრეთვე, რაიონული, საქალაქო საფინანსო ორგანოების წინასწარი დასკვნით — სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად;

6) დაბის, სოფლის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ სახსრებს, აგრეთვე შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში გაწეული მომჭირნეობის შედეგად წლის დამლევისათვის წარმოქმნილ ჭარბი შემოსავლის თანხას ახმარს საქმეუწყობო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, აღმასრულებელი კომიტეტის შენობის მშენებლობასა და რემონტს, აღმასრულებელი კომიტეტისათვის ინვენტარის, მოწყობილობისა და ტრანსპორტის შეძენას, აგრეთვე ამ ტრანსპორტის რემონტს (დაუშვებელია აღნიშნული სახსრების ამოღება სადაბო, სასოფლო საბჭოსაგან);

7) იღებს გადაწყვეტილებებს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მიერ ფულადი სესხის ინდივიდუალური საბანაო მშენებლობისათვის გაცემის შესახებ სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში;

8) ხელს უწყობს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობასა და ნებაყოფლობითი დაზღვევის განხორციელებას;

9) ორგანიზაციას უწევს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრას; უზრუნველყოფს თვითდაბეგვრის სახსრებით ან ნებაყოფლობითი დაზღვევის განხორციელებას;

10) გადაანაწილებს ზემდგომ ან დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელიც დაბის, სოფლის ბიუჯეტზე იმყოფებიან.

მუხლი 13. სოფლის მეურნეობის დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1) ეხმარება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გაერთიანებებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მეცხოველეობის ფერმების ვეტერინარულ-სანიტარიულ მდგომარეობას, მოქალაქეთა მიერ მთის ციცაბო საკუთრებაში მყოფი პირუტყვის მოვლაშენახვის ვეტერინარული წესების დაცვას, აგრეთვე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკარანტინო წესების დაცვასა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებას ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მიზნით;

7) აკონტროლებს დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობას საბჭოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ნამატის შესასყიდად.

მუხლი 14. მიწათსარგებლობის, წყლის, ტყის, წიაღის გამოყენებისა და დაცვის, გარემოს დაცვის დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს საბჭოს ტერიტორიაზე მთელი მიწების გამოყენებაზე; აკონტროლებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკარმიდამო მიწების სწორად გამოყენებას, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების დაცვას; წყვეტს მოქალაქეთა შორის მიწის გამო წარმოქმნილ დავას;

2) ახორციელებს კონტროლს, რომ საბჭოს ტერიტორიაზე ყველა მიწათმოსარგებელი იცავდეს კანონმდებლობას მიწათსარგებლობის შესახებ, ასრულებდეს ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებებს;

3) იღებს გადაწყვეტილებებს ნაკვეთების გამოყოფის შესახებ დაბის, სოფლის, დასახლებული პუნქტის მიწებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ფარგლების შესაბამისად;

4) საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა შორის ანაწილებს სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის სახელმწიფო მიწების მარაგიდან დადგენილი წესით გამოყოფილ მიწას საბოსტნე, სათიბ და საძოვარ ნაკვეთებად;

5) აკონტროლებს სამელიორაციო სამუშაოთა გეგმების შესრულებას, ამოშრობილი მიწების თვისებასა და სწორად გამოყენებას;

6) კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ფარგლების შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას და სახელმწიფო კონტროლს წყლის, ტყისა და წიაღის გამოყენებისა და დაცვის სფეროში:

დადგენს დაბის, სოფლის, დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მდებარე წყლის ობიექტებზე საერთო წყალსარგებლობის პირობებს; ადგენს წყალმიღები ნაგებობებით სარგებლობის წესებს სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე (ცენტრალიზებული წყალმომარაგების წესით მოსახლეობისათვის სასმელი, საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებისათვის წყლის მისაწოდებლად; სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებთან და წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანიზებთან შეთანხმებით წყვეტს სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე ფერმებისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინვენტარიზებული წყალმომარაგების საკითხებს; წყვეტს წყლით სარგებლობის შესახებ წარმოქმნილ დავას;

აკონტროლებს ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქის მიერ ტუალეტსარგებლობის დადგენილი წესის, სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის ცალკეწარმოების, აღრიცხვისა და დაცვის წესების, აგრეთვე ტყის კანონმდებლობით ითვალისწინებული სხვა წესებისა და ნორმების დაცვას; ხელს უწყობს სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების გაშენებისა და დაცვის, ტყის მელიორაციისა და ტყის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ამ საკითხზე შეაქვს თავისი წინადადებანი ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

თვალყურს ადევნებს საოლქო თაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოების სწორად დამუშავებას; ავლენს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის დამატებით რესურსებს; საჭიროების შემთხვევაში ზემდგომ ორგანოებში შეაქვს წინადადებანი მათი გამოყენების შესახებ;

7) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე; ხელს უწყობს გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას; თვალყურს ადევნებს ნადირობისა და თევზჭერის დადგენილი წესების დაცვას.

მუხლი 15. მრეწველობის დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1) ხელმძღვანელობს ადგილობრივი მრეწველობის მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაობას და უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას;

2) ახორციელებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებში კანონმდებლობის დაცვის კონტროლს;

3) ეხმარება საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოებს წარმოების ეფექტიანობისა და წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების გამოყენებაში, ბუნებრივ-ეკონომიკური, ტექნიკურ-ეკონომიკური, ეკონომიკურ-სოციალური ღონისძიებათა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს; კონტროლს უწევს ამ ტერიტორიაზე ადგილობრივ ნედლეულზე, ადგილობრივ საშენ მასალებზე, ადგილობრივ ენერგეტიკულ რესურსებზე, ადგილობრივ ტრანსპორტზე, ხანძარსაწინააღმდეგო, ანტირადიაციულ, ანტიმეწყრულ, ანტიეროზიულ, ანტიკოროზიულ, ანტიბაქტერიულ, ანტიალერგიულ, ანტიმტვრულ, ანტიხმაურ, ანტიგ ამოფრქვევებ, ანტიგ ამოფრქვევებ, ანტიგ ამოფრქვევებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **კანონები**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ

(გაგრძელება).

5) ხელმძღვანელობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, კეთილმოწყობის სამუშაოებში აბამს, მათთვის თანხმობით, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი საკუთრებისა დაქვემდებარებისა; კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების თანხმობით ერთიანებს მათ მიერ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილ სახსრებს; კონტროლს უწევს საწარმოო ტერიტორიების კეთილმოწყობას; ორგანიზაციას უწევს დასახლებული პუნქტების გაშენებას; ახორციელებს ღონისძიებებს მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და მოვლის, წყალსატევების და მშრომელთა დასვენების ადგილების დაცვისათვის; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელს არქმევს დასახლებული პუნქტების ქუჩებს, მოედნებსა და სხვა შემადგენელ ნაწილებს; აწესებს სახლების ნომერაციას;

6) ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საბჭოსადმი დაქვემდებარებული სანიმაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მმართველობის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით;

7) უზრუნველყოფს სასაფლაოების, ძმათა სასაფლაოებისა და დაკრძალვის სხვა ადგილების სათანადო მოვლას.

მუხლი 18. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1. კონტროლს უწევს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საკოლმეურნეო ვაჭრობას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას საბჭოს ტერიტორიაზე; ამტკიცებს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა განლაგებისა და სპეციალიზაციის გეგმებს; ხელს უწყობს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვას;

2) იღებს ზომებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის, აკონტროლებს მათ მუშაობას; ხელს უწყობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალ სახეობათა და ფორმათა დანერგვას;

3) კონტროლს უწევს მაღაზიების, სასადილოების, საჩაიეების, ბაზრების მუშაობას, ვაჭრობის წესებს; დაწესებული ფასების დაცვას და მყიდველთა კეთილდღეობას მომსახურების უზრუნველყოფას; სამრეწველო და სასურსათო საქონლის დროულად შემოზიდვას მოსახლეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით.

4) აკონტროლებს სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა მუშაობას სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავებისა და გაყიდვის ხაზით;

5) ისმენს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, ვაჭრობის მდგომარეობის, საქონელბრუნვის დადგენილი გეგმებისა და სხვა გეგმიურ დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებებს მათი საწარმოო საქმიანობის თაობაზე;

6) კონტროლს უწევს სამომხმარებლო საზოგადოების წესდების დაცვას;

7) საყოფაცხოვრებო მომსახურების ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საბჭოსადმი დაქვემდებარებული ყოფა-ცხოვრებაში;

7) კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო მართვას და სახელმწიფო კონტროლს საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენებისადმი.

მუხლი 21. ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო:

1) იღებს ზომებს მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფად; ხელმძღვანელობს დაბის, სოფლის ბიუჯეტზე მყოფ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციას;

2) იღებს ზომებს, რომ საბჭოს ტერიტორიაზე რაციონალურად იქნეს განლაგებული საუბნო სანიტარიული-ეპიდემიოლოგიური სადგურები, ამბულატორიები, ფოლიკლინიკები, ეკვანტები, ფარმაციული ბაზები, ბინათმოვლის სადგურები, ბინათმოვლის ბაზები, ბინათმოვლის ბინები, ბინათმოვლის ბინა-ინტერნატები, ბინათმოვლის ბინა-ინტერნატ-ფანსიონატები, ბინათმოვლის ბინა-ინტერნატ-ფანსიონატ-ბავშვთა ბაღ-ინტერნატები, ბავშვთა ბაღ-ინტერნატ-ფანსიონატ-

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ

(დასასრული)

2) ამზადებს და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებანი გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად დეპუტატების არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

3) ამზადებს დასკვნებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატთა ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან, ანდა ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გაწვევასთან.

მუხლი 55. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისია:

1) წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, მათი შესრულების ანგარიშებს და იძლევა მათზე დასკვნებს;

2) წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ დაბის, სოფლის ბიუჯეტს, მისი შესრულების ანგარიშს და იძლევა მათზე დასკვნებს;

3) განიხილავს და ათანხმებს საბჭოს სხვა მუდმივი კომისიების მიერ შემოტანილი შენიშვნებსა და წინადადებებს დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, დაბის, სოფლის ბიუჯეტის შესახებ და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების თაობაზე;

4) იწვევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვების, ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლების გამოსავლინებლად, სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად;

5) კონტროლს უწევს დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და დაბის, სოფლის ბიუჯეტის შესრულებას;

6) მონაწილეობს საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სხვა საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში.

მუხლი 56. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოს ტერიტორიაზე სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

2) მონაწილეობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის შემოწმებაში, იმის შემოწმებაში, სწორად და დროულად იხილავენ თუ არა მოქალაქეთა წინადადებებს, საჩივრებსა და განცხადებებს, როგორია მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია;

3) მუშაობაში ეხმარება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს და ამხანაგურ სასამართლოებს;

4) მონაწილეობს მუშაობაში, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის კანონმდებლობის განმარტება, მათი აღზრდა საბჭოთა კანონების მტკიცედ დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 57. სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე შექმნილი სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები:

1) მუშაობენ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა დარგების დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსავლინებლად, ამზადებენ წინადადებებს ამ საკითხებზე და შეაქვთ ისინი საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

2) მონაწილეობენ საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში და აგრეთვე ორგანიზატორულ მუშაობაში ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულებისათვის;

3) თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ამოწმებენ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობას; შემოწმების შედეგების შესახებ წინადადებებს განსახილველად გადასცემენ კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ წინადადებები საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

მუხლი 58. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ მათი გამგეობების საკითხების შესახებ თავიანთ სხდომებზე მოისმინონ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები და ინფორმაციები, მისცეს მათ რეკომენდაციები.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციების განხილვა შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ სავალდებულოა. განხილვის შედეგების ან მიღებული ღონისძიებების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიებს არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში ან კომისიების მიერ დადგენილ ვადაში.

მუდმივ კომისიებს მათი გამგებლობის საკითხებზე უფლება აქვთ საჭირო მასალები და დოკუმენტები მოსთხოვონ სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს.

მუხლი 59. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს მუდმივ კომისიას შეუძლია თავისი მომხსენებელი ან თანამომხსენებელი გამოყოს იმ საკითხებზე, რომლებიც მან შეიტანა საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, აგრეთვე საკითხებზე, რომელთა მომზადებაშიც იგი მონაწილეობდა.

მუხლი 60. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც.

მუდმივი კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელებს, აგრეთვე აქტივისტებს; თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს; ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

მუხლი 67. მუდმივი კომისიის მდივანი აწარმოებს კომისიის სხდომების ოქმებს, თვალყურს ადევნებს, რომ კომისიის გადაწყვეტილებები დროულად ეცნობოს დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, პასუხს აგებს საქმისწარმოებისათვის.

მუხლი 68. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები, რომელთა ამოცანებს შესაბამისი საბჭო მათი შექმნის დროს განსაზღვრავს.

4. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი

მუხლი 69. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება იწყება საბჭოში მისი არჩევის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის სადაბო, სასოფლო საბჭოს არჩევნების დღეს.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს აქვს დეპუტატის მოწმობა და დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლებთაც იგი სარგებლობს თავისი უფლებამოსილების მანძილზე.

მუხლი 70. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ვალდებულია დაესწროს საბჭოს ყოველ სესიას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და იმ მუდმივი კომისიების საქმიანობაში, რომელთა შემადგენლობაშიც იგი აირჩიეს, შეასრულოს საბჭოსა და მისი ორგანოების დავალებანი. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატს შესაძლებლობა არა აქვს დაესწროს სესიას, იგი ამას აცნობებს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს მუდმივი კავშირურთიერთობა აქვს ამომრჩეველთან, იმ კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, აგრეთვე მისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, იგი ინფორმაციას აწვდის ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობის შესახებ, დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, საბჭოს დადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების თაობაზე, მონაწილეობს კრებებს, საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, აცნობებს საბჭოს და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ, იღებს ზომებს მათი დაკმაყოფილებისათვის, შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა განსახილველად შეაქვს წინადადებები მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ინფორმაციას აწვდის საბჭოს, ამომრჩეველთა კრებებზე, ანგარიშვალდებულია სადაბო, სასოფლო საბჭოს წინაშე ან მის კონტროლს ექვემდებარება.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს შეუძლია სესიაზე განსახილველი საკითხის თაობაზე თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით გადასცეს თავისი წინადადებები და შენიშვნები.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ინფორმაციას აწვდის საბჭოს ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების შესახებ.

მუხლი 76. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლივ.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი საბჭოს სესიის და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშიც იგი არჩეულია, თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მუხლი 77. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიიდან რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით და ქალაქის ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა).

მუხლი 78. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ სამუშაოდან საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან დისციპლინური სასჯელის წესით გადაიყვანონ დაბალანაზღაურებელ სამუშაოზე, ისე, თუ არ იქნა საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი დასტური.

საბჭოს ორგანოებში არჩევით თანამდებობაზე არჩევის გამო სამუშაოდან განთავისუფლებულ სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს არჩევით თანამდებობაზე მისი უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ეს სამუშაო ადარ არსებობს, სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან, მისი თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე დეპუტატის მუშაობის დრო ჩაითვლება იმ სპეციალობით მუშაობის სტაჟში, რომლითაც დეპუტატი მუშაობდა საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევამდე.

საბჭოს ტერიტორიაზე სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დაუპატიმრებენ ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ სასჯელს ვერ დაადებენ, თუ არ იქნა სადაბო, სასოფლო საბჭოს დასტური, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის დასტური.

სადაბო, სასოფლო საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ამ მუხლის მეოთხე ნაწილში აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გაუქმოს შესაბამისად ზემდგომმა საბჭომ ან მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ამასთან საკითხი ხელახლა განსახილველად გადასცეს სადაბო, სასოფლო საბჭოს. თუ საბჭო დაადასტურებს თავდაპირველ გადაწყვეტილებას, საკითხი არსებითად შეიძლება გადაწყვიტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში. შესაბამისად აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ან აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ შესაბამისად საქართველოს სსრ პროკურორის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ან აჭარის ასს რესპუბლიკის პროკურორს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის წარდგინებით.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი უზრუნველყოფილია აგრეთვე დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 79. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი, როშელმაც ვერ გაამართალა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაადინა დეპუტატის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება გაწვიონ იქნეს ნებისმიერ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 80. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი, იმ შემთხვევაში, თუ მუდმივ საცხოვრებლად გადავა სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ან სხვა მიზეზების გამო ვერ შეძლებს თავის საარჩევნო ოლქში დეპუტატის მოვალეობათა შესრულებას, სადაბო, სასოფლო საბჭოს მიმართავს განცხადებით დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. სადაბო, სასოფლო საბჭო მორიგ სესიაზე განიხილავს დეპუტატის განცხადებას და მიიღებს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას, რასაც აუწყებს ამ ოლქის ამომრჩევლებს.

მუხლი 81. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველები დეპუტატს გაიწვევენ.

სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია დეპუტატის პირად განცხადებასთან დაკავშირებით ხელისშემშლელ გარემოებათა გამო მის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. ანდა თუ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი იმ პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია.

მუხლი 82. იმ შემთხვევაში, როცა დეპუტატი სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე გამოაკლდება, შესაბამის საარჩევნო ოლქში ორი თვის ვადაში ტარდება ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების ჩატარებამდე.

5. მოსახლეობის მონაწილეობა სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს მუშაობაში, მოქალაქეთა სერთო კრებები, სოფლის ყრილობები

მუხლი 83. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო უზრუნველყოფს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში, აბამს მათ საბჭოს საქმიანობაში, ხელმძღვანელობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობას.

მუხლი 84. უმნიშვნელოვანეს საკითხთა განსახილველად, რომლებიც მოქალაქეთა ცხოვრებას შეეხება, მოქალაქეთათვის კანონმდებლობისა და საბჭოს და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსამარტავად სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს ან მთლიანად სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა, ანდა ცალკეული დასახლებული პუნქტების, ქუჩების თუ უბნების მცხოვრებთა ხალხური კრებებს, ყრილობებს, აგრეთვე დაბის, სოფლის მცხოვრებთა წარმომადგენლობა კრებებს.

დაბის, სოფლის მოქალაქეთა კრება, ყრილობა განიხილავს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს, ისმენს მოხსენებებს სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ და სხვა საკითხებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად. სოფლის ყრილობები განიხილავენ და წყვიტენ მოსახლეობის თვითდაბეგვრის საკითხებს.

მუხლი 85. დასახლებული პუნქტის მოქალაქეთა საერთო კრებებმა, ყრილობებმა შეიძლება აირჩიონ სოფლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქუჩებისა და უბნების კომიტეტები. სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული „ბალტიკის ოთახის“ გამამაშებაში მესამე შეხვედრა გამართა თავის ქვეკვეთაში (ბრიმერჰაფენი, გფრ). ამჯერად ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს დანიელები — 23:17. ფინალში საბჭოთა ნაკრები ისპანეოებს დერ-ის გუნდთან, რომელმაც ფრედ — 15:15 ითამაშა მსოფლიო ჩემპიონთან გფრ-ის ნაკრებთან და პირველი ადგილი დაიკავა თავის ქვეკვეთაში.

კალათბურთი. ყაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის რიგის ტურის დასკვნითი მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია: სკა „ყაზარიისი“ — 80:79, „სპარტაკი“-რტი — 84:82, „დინამო“ (მ.)-„სტატიბა“ — 119:101, „დინამო“ (თბ.)-„ალეკი“ — 75:87.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, ხე-ტყის მრეწველობის და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე ინჟინერი, 1944 წლიდან სკკპ წევრი, ორჯონიკიძის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი

სერგო ივანეს ძე ტაბაშაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კოლეგია, პარტიული ბიური და ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამინისტროს ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი

აბო ვლადიმერის ძე ხვთისიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მუზეუმი. ლოგის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირი; აბაზის ასსრ სახელმწიფო; საქმაღაქმუშენსახროექტი; საქსოფლმშენსახროექტი; თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური საეკონომიკო-კვლევითი ინსტიტუტი.

საერთაშორისო დღესასწაულ ზეიმებზე ცხოვრება

პირფერული პოზიცია

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. შეერთებული შტატები აქტიურად განაგრძობს ცილისმწამებლური კამპანიას ავღანეთის წინააღმდეგ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის ნების საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად გამოტანილი ეგრეთ წოდებული „ავღანეთის საკითხის“ გარშემო ატეხილ პროპაგაციულ ალიაქოთთან ერთად, ვაშინგტონი გაძლიერებით „ამუშავებს“ მამამავიანურ სახელმწიფოებს, უშუალო ზემოქმედებას ახდენს მათზე და ცდილობს თავი გაასაღოს ლამის ისლამის დამცველად. თეთრ სახლში აშკარად მოიწონათ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი დამპყრობელი, ეკრძოდ, სადათის იდეა, მოიწვიონ ეგრეთ წოდებული „ისლამური კონფერენცია“, რომელმაც, მის ინიციატორთა ჩანაფიქრით, უნდა იმსჯელოს „ავღანეთის საკითხზე“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეში ჩახედულ წრეებში ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ზოგიერთ არაბულ და სხვა მაჰმადიანურ სახელმწიფოებს გაუგზავნა წერილები, რომლებშიც უტიფრად მოითხოვს ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების თანხმობას დაგეგმილ ანტიავღანურ თავყრილობაში მონაწილეობის მიღებაზე.

პრეზიდენტ კარტერის ასეთი წარდგინება გაუგზავნეს, კერძოდ, მაროკოს მეფეს ჰასან მეორეს.

თეირანი, 10 იანვარი. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია მკვეთრად დაამეს მთელ რიგ მაჰმადიანურ ქვეყნებში. მაგალითად, ირანის ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ გადაჭრით უარყო, როგორც პირფერული, ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ლაყბობა „ისლამის დასაცავად“.

ბეირუთი, 10 იანვარი. „სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები, — განაცხადა ლიბანის საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ა. კანსომ, — სჩადის დანაშაულს ისლამის წინააღმდეგ ირანსა და იერუსალიმში, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები აძლევს იარაღს ისრაელს და აგზავნიდნენ მაჰმადიანი ხალხების წინააღმდეგ საომრად“.

ყაზაღი

საფეხბურთო ორბიტა

ჩოგბურთი. „კინგზ კაპის“ (საშიფო თასის) პრიზის გათამაშებაში. ფრანგებთან გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ჩოგბურთიელები ბოდაპეშტში შეხვდნენ უნგრელებს და დამარცხდნენ — 1:2, ვ. ბორისოვმა მოიგო ი. ბენეკს (6:0, 6:4), თ. კაკულია კი დამარცხდა ბ. ტაროციასთან (2:6, 1:6). წყვილთა შეხვედრაში ბ. ტაროციამ და ვ. სეკემ მოუგეს თ. კაკულიასა და ვ. ბორისოვს (7:6, 6:7, 6:4).

ხელ საბჭოთა ჩოგბურთელები უმასპინძლებენ ავსტრიელებს, რომლებმაც დაამარცხეს ფრანგები — 2:1.

ხელბურთი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა „ბალტიკის თასის“ გათამაშებაში მესამე შეხვედრა გამართა თავის ქვეკვეთაში (ბრემერჰაფენი, გფრ). ამჯერად ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს დანიელები — 23:17. ფინალში საბჭოთა ნაკრები ისპანეოებს დერ-ის გუნდთან, რომელმაც ფრედ — 15:15 ითამაშა მსოფლიო ჩემპიონთან გფრ-ის ნაკრებთან და პირველი ადგილი დაიკავა თავის ქვეკვეთაში.

კალათბურთი. ყაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის რიგის ტურის დასკვნითი მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია: სკა „ყაზარიისი“ — 80:79, „სპარტაკი“-რტი — 84:82, „დინამო“ (მ.)-„სტატიბა“ — 119:101, „დინამო“ (თბ.)-„ალეკი“ — 75:87.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ნ. აბაშიძე



გარდაიცვალა აჭარის სსრ მეორე მოწვევის კომისიის წევრი, 1947 წლიდან სკკპ წევრი ნიკოლოზ ნესტორის ძე **აბაშიძე.**

ნ. ნ. აბაშიძე დაიბადა 1910 წელს ქ. ბაქოში. ქ. ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1929-დან 1943 წლამდე მუშაობდა ამერიკელების რკინიგზის მწვანე კონცხის გვირაბის სამუშაოთა მწარმოებლად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსად, ხელმძღვანელობდა ქ. ბათუმის „პრესის სახლის“, ბათუმის სახელმწიფო თეატრის მშენებლობას. იყო „ბათუმშენის“ ტრესტის უნნის უფროსი, ხოლო 1943-1953 წლებში — აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს უფროსი, „ბათუმშენის“ ტრესტის მმართველი, „საქსოფლმშენის“ ტრესტის ბათუმის სამმართველოს უფროსი.

1953 წლის ივლისში ნ. ნ. აბაშიძე ინიშნება აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსად. 1956 წელს იგი წარმოებას მოიწყვეტლივ ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს არქიტექტორის სპეციალობით და ამავე წლის თებერვლიდან აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსია. 1971 წელს ივლისიდან გარდაცვალების დღემდე ნ. აბაშიძე მუშაობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ნ. ნ. აბაშიძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში. 1963-1971 წლებში იგი არჩეული იყო აჭარის ასსრ მეექვსე და მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და ბათუმის რამდენიმე მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, შრომისმოყვარე და პრინციპული მუშაკის ნ. ნ. აბაშიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს სსრ მუზეუმი. ლოგის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირი; აბაზის ასსრ სახელმწიფო; საქმაღაქმუშენსახროექტი; საქსოფლმშენსახროექტი; თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური საეკონომიკო-კვლევითი ინსტიტუტი.

ტელევიზია

12 იანვარი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრეშია“ (მ.), 09.40 — დილის ჯარედანი (მ.), 10.05 — „შვიდსწავლული ქართული ენა (ფ.), 10.35 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა...“, 11.35 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ — აღლიქსანდრე იმიდაშვილი (განმეორებით, ფ.), 12.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ციდეკ ერთი საოსიბარული დღე“ (ფ.), 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.45 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 13.15 — „თბილისი და თბილისელები“ — საგზელავიზიო ჟურნალი (ფ.), 13.45 — რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“ ჩეხოსლოვაკიაში (ფ.), 14.50 — წესრიგი ყველგან და ყველაფერში, 15.10 — დოკუმენტური ფილმი „ბოროდეკოული ფერწერა“ (ქართულ ენაზე), 15.30 — ეს ყველამ უნდა იცოდეს, 15.40 — „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — მარო თარხნიშვილი“ (ფ.), 16.10 — „ჯგუფური თამაში — საგელეგიზიო პროგრამა (ფ.), 16.45 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — ცხოველთა სამყაროში (მ.), 18.30 — დოკუმენტური ფილმი, 18.45 — „დაუფიქრები და ცხოვრება“, 19.15 — „ბაზეთ „პრავდის“ პოლიგრაფიური მიმომხილველის ი. ოკოლოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მ.), 20.00 — „თქვენი თხოვნით“ — გადაცემა ეძღვნება ენგელბერტ ჰუმპერდინკის მშენებლებს, 20.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — „ვერნისაჟი“, 22.00 — „ეროემია“ (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ალათბურთში თბილისის „დინამო“ — ჯარგუს „ალლავი“. 11 იანვრის მაგრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა: 16.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ბაკულას ლორები“, „სოფლის ამბავი“, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — პირველად ეკრანზე — „ცოლ-ქმარი ოროლოვები“, 18.55 — „ზამთრის ფანტაზია“ — კინოპროგრამა (ფ.), 19.55 — ჩვენს დიად სამშობლოში — საგელეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ლვოვში უიმსკურსიოდ“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბეჭდვითი ორგანოები

კომუნისტი — ინდექსი 66434 — ფასი 07617

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინ